შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/24

ქ. თბილისი 22 აპრილი 2020 წ

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №01-01/18 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) პანდემიური პრევენციის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ და 21 მარტის №1 დეკრეტის „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების მე-3 მუხლის და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის ვადის გაგრძელების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის № 2 ბრძანების გათვალისწინებით, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №01-01/18 ბრძანებით განსაზღვრული სასწავლო პროცესის (კონტაქტური სწავლება) დაწყების ვადის გაგრძელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. “საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის № 2 ბრძანების გათვალისწინებით, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №01-01/18 ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო პროცესის (კონტაქტური სწავლება) შეჩერების ვადა გაგრძელდეს 2020 წლის 22 მაისი ჩათვლით.
2. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი